თავი XIX
საგადასახადო სისტემის, პატენტების, ნებართვებისა და ლიცენზირების როლი ბიზნესში

XIX. 1. საგადასახადო სისტემის არსი, პრინციპები და ფუნქციები

გადასახადების წარმოშობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. სახელ-მწიფოს წარმოშობის ადრეულ ეტაპზე ადამიანის ცნობიერებაში პირუტყვის რელიგიური შეწირვა დაკავშირებული იყო რელიგიურ გადასახადთან. რელიგიური გადასახადები იყო ნებაყოფლობითი. საგადასახადო სისტემის სრულყოფა დაკავშირებულია სახელმწიფოს როლისა და ფუნქციის გაძლიერებასთან, რომლის ერთ-ერთი ეკონომიკური საწყისი არის გადასახადები. ამიტომაც არის, რომ ძველ რომში იმპერატორ ავგუსტ ოქტავიანის მმართველობის წლებში ქვეყნის ყველა პროვინციაში შემოღებულ იქნა გადასახადების ამკრების თანამდებობა. საქართველოში გადასახადების სისტემა ადრე შუა საუკუნეებიდან არის ცნობილი. XI საუკუნეში უკვე არსებობდა ლაშქრობის გადასახადი. ბატონყმობის პერიოდში ფეოდალს მიწაზე მომუშავე ყმა გლეხებისაგან შემოსდიოდა ღალა, კულუხი და სხვა გადასახადი. ლხინისათვის გადასახადს ამ პერიოდში ეწოდებოდა სანიჭირი, საძოვრების გადასახადს კი საბანჯარი. XVIII საუკუნეში საქართველოში არსებულ გადასახადებს შორის აღსანიშნავია: სურსათის გადასახდი, რომელიც ომის დროს ჯარის გამოსაკვებად გამოიყენებოდა; კოდის პურის, წელიწადში კომლზე დადგენილი იყო 4 კოდი (10 ლიტრის მოცულობის ჭურ-ჭლის) გადასახადი, მახტა, რომელსაც გლეხები იხდიდნენ ნატურით, ხოლო ვაჭრები და ხელოსნები ფულით, კულუხი წარმოადგენდა ღვინით გადასახდს მიწის სარგებლობისათვის და სხვა.

საგადასახადო სისტემა არის გადასახადების გადახდის პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების, საგადასახდო ორგანოების, საგადასახადო კონტროლის და საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სახეების ერთობლიობა. საგადასახდო სისტემის ძირითადი დანიშნულება არის ის, რომ ის მოწოდებულია უზრუნველყოს სახელმწიფო ფინანსური რესურსებით. თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების საგადასახადო სისტემა ჩამოყალიბდა ამ ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური განვითარების თავისებურებათა გათვალისწინებით. ამიტომაც არის, რომ გადასახადების სტრუქტურით, განაკვეთებით, ამოღების წესით, ეს საგადასახადო სისტემები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ამასთან, არსებობს ის ზოგადი პრინციპები, რომლებიც მისაღებია ცალკეული ქვეყნისათვის. ასე მაგალითად, საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასია-თდება ისეთი ძირითადი პრინციპებით, როგორიცაა:

- სავალდებულობის;

- იერარქიულობის;
- ურთიერთვალდებულებების;
- სარგებლიანობის;
- გადასახადების მრავალფეროვნების;
- ადგილობრივი გადასახადების გაფართოვების.

გადასახადების დეფინიციით, რომელიც წარმოდგენილია საგადასახადო კოდექსში „გადასახადი არის . . . ბიუჯეტში სავალდებულო უპირობო შესატანი“. ცნობილია, რომ საბაზრო სისტემის ეკონომიკურ და პოლიტიკურ წონასწორობას განსაზღვრავს გადასახადები, როგორც საზოგადოებრივი სიკეთეების გადანაწილების ფორმა.

გადასახადები წარმოადგენენ საზოგადოებრვი სტაბილურობის წყაროს, საბიუჯეტო დაფინანსების მექანიზმით, ისინი ქმნიან სოციალური სტაბილურობის (მოსახლეობის ღარიბი ფენების), არმიის, უშიშროების და სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების მხარდაჭერის წინაპირობებს. იმ ქვეყნე-ბში, სადაც საგადასახადო ადმინისტრირება მოშლილია, უმძიმესი მდგომარეობაა შექმნილი მოსახლეობის ღარიბი ფენების მხარდაჭერის, არმიის და უშიშროების, სახელმწიფო ინსტიტუტების დინამიკური განვითარების თვალსაზრისით. ამიტომაც არის, რომ იქ, სადაც ჭარბობს საგადასახადო ადმინისტრირების დაბალი დონე, კორუფცია და მექრთამეობა, იშლება სახელმწიფოებრივი სტაბილურობის საფუძვლები. იმ განვითარებად ქვეყნებში, სადაც ჭარბობს ასეთი სოციალური დისბალანსი, სიმპტომატურია სოციალური აფეთქებები, რევოლუციები და სხვა სოციალური ანტიპოდები, რაც არ ახასიათებს განვითარებული საბაზრო ეკონომიკის სამყაროს. გადასახადი არის მეწარმის ვალი ქვეყნის წინაშე და ის უნდა დაექვემდებაროს აუცილებელ გადახდას ბიუჯეტში. ამიტომაც არის, რომ გადასახადის გადაუხდელობა იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. ამით არის აღიარებული გადასახდების სავალდებულობის პრინციპი.

სახელმწიფოში საგადასახადო და საფინანსო პოლიტიკის იერარქიულობა განმტკიცებულია კონსტიტუციურად. ასე მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციაში მითითებულია: „მხოლოდ სახელმწიფოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ განმგებლობას მიეკუთვნება სახელმწიფო ფინანსები და სახელმწიფო სესხები, ფულის მოჭრა, საბანკო, საკრედიტო, სადაზღვევო და საგადასახადო კანონმდებლობა“ (საქართველოს კონსტიტუცია, თბ. 1995, გვ. 4-5).

საგადასახადო სისტემის იერარქიულობა ვლინდება სახელმწიფო საგადასახადო სისტემის ერთიანი ცენტრალიზებული მართვაში. ამ იერარქიის სათავეში დგას სახელმწიფო ორგანო – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სახით, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების, ტერიტორიული საგადასახადო ინსპექციები წარმოადგენენ საგადასახადო დეპარტამენტის ტერიტორიულ ერთეულებს.

ურთიერთვალდებულების პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანები გადასახადებს იხდიან იმისათვის, რომ ორმხრივი ვალდებულებითი ურთიერთობები დაამყარონ სახელმწიფოსთან. შესაბამისად, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას მოქალაქეების, ბიზნესის წინაშე, რომ ის დაიცავს მათ მის ხელთ არსებული რეპრესიული აპარატით, ხოლო ბიზნესი კისრულობს ვალდებულებას, რომ შეინახავს სახელმწიფოს ამ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუტებს. ამდენად, გადასახადების ძირითადი შინაარსის რეალიზაცია ამ პრინციპს ეყრდნობა და ასახავს სახელმწიფო ხელისუფლების ფუძემდებლურ საფუძვლებს.

სარგებლიანობითი დაბეგვრის პრინციპი მჟღავნდება იმაში, რომ საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია იწვევს მის ხელთ არსებული მატერიალური სიკეთეების არათანაბარ მოხმარებას. ამით არის მოტივირებული ის, რომ გადასახადების ნაწილი თანაბრად არ ნაწილდება მოსახლეობის ფართო ფენებზე. ასე მაგალითად, ავტომობილის მომხმარებლები, რიგ ქვეყნებში იხდიან გზების, ეკოლოგიურ გადასახადებს, რაც არ ვრცელდება ფეხით მოსიარულეებზე, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლეებზე.

გადასახადების მრავალფეროვნების პრინციპი გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოს საგადასახადო სისტემა უნდა ეფუძნებოდეს დიფერენცირებულ დაბეგვრას. ასეთმა დიფერენციაციამ უნდა შექმნას სისტემა, რომელშიც გადასახადების ტვირთი თანაბრად განაწილდება გადასახადების გადამხდელებზე. ასეთი სისტემა იძლევა შესაძლებლობას სახელმწიფომ გაატაროს მოქნილი საგადასახადო პოლიტიკა, ზემოქმედება მოახდინოს მოხმარებასა და დაგროვებაზე.

ადგილობრივი გადასახადის გაფართოვების პრინციპი ვლინდება იმაში, რომ ადგილობრვი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებს შეუძლიათ შემოიღონ საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული გადასახადები, მაგრამ მათ არა აქვთ უფლება შემოიღონ ის გადასახადები, რომლებიც არ არის გათვა-ლისწინებული კანონმდებლობით, ასევე გაზარდონ საქართველოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული გადასახადების განაკვეთები.

გადასახადების ძირითადი ფუნქციებია:

- ბიუჯეტში შემოსავლების მობილიზების (ფისკალური ფუნქცია);
- სოციალური სიკეთეების განაწილების;
- ეკონომიკური განვითარების რეგულირების.

ბიუჯეტში შემოსავლების მობილიზების ფუნქცია აისახება იმაში, რომ საგადასახადო სისტემის და საგადასახადო ადმინისტრირების ნორმალური ფუნქციონირება, უზრუნველყოფს გადასახადების მობილიზებას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში და მათ შემდგომ გადანაწილებას.

სოციალური სიკეთეების გადანაწილების ფუნქცია ვლინდება იმაში, რომ ქვეყანაში დიფერენცირებული გადასახადები, უზრუნველყოფენ მაღალშემოსავლიანი ფიზიკური და იურიდიული პირების საგადასახადო დაბეგვრის მეშვეობით, ეროვნული შემოსავლის დაბალ შემოსავლიან სოციალურ ფენებში გადანაწილებას.

ეკონომიკური განვითარების მარეგულირებელი ფუნქცია აისახება საგადასახადო განაკვეთების ზრდის ან შემცირების ხარჯზე სახელმწიფოს ეკონო-მიკური ზრდის რეგულირებაში. გადასახადებით ეკონომიკური ზრდის რეგული-რებაში გამოიყენება ლიბერალური და მკაცრი საგადასახადო პოლიტიკა.

ლიბერალური საგადასახდო პოლიტიკა იწვევს ეკონომიკური აქტივობის ზრდას, ბიზნესის გაფართოებას, ინვესტიციურ აქტივობას, რაც აჩქარებს ეკონომიკური ზრდის ტემპებს.

მკაცრი საგადასახადო პოლიტიკა გულისხმობს მაღალ საგადასახადო განაკვეთებს და მინიმალურ შეღავათებს ამ დარგში, რის გამოც ეკონომიკური აქტივობა ეცემა და შესაბამისად მცირდება წარმოების მოცულობა, რაც უარყოფითად მოქმდებს ბაზრებზე.

XIX.2. გადასახადების კლასიფიკაცია

გადასახადები კლასიფიცირდება მრავალი ნიშნის მიხედვით). ერთ-ერთი მათგანი დადგენილ იქნა ცნობილი შოტლანდიელი ეკონომისტის, გლაზგოს უნივერსიტეტის ლოგიკისა და ფილოსოფიის კათედრის გამგის და შემდგომ ამავე უნივერსიტეტის რექტორის ა. სმიტის მიერ. შემოსავლებ-გასავლების კრიტერიუმიდან გამომდინარე სმიტმა გადასახადები დაყო: პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებად. პირდაპირი გადასახადები იკრიბება უშუალოდ გადამხდელთა შემოსავლებიდან და ქონებიდან. დაბეგვრის ობიექტი არის ხელფასი, მოგება, პროცენტი და სხვა. ირიბი გადასახადები დგინდება საქონლისა და მომსახურების ფასის დანამატის სახით. პირდაპირია საშემოსავლო, მოგების და ა.შ. გადასახადები, არაპირდაპირი, ერიცხება ფასს, ასეთი არის აქციზი, დამატებული ღირებულების გადასახადი და სხვა.

ქვეყნის ბიუჯეტის მოწყობის თავისებურებების მიხედვით გადასახადები იყოფა: საერთო სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გადასახადებად. ამჟამად, ახალი საგადასახადო კოდექსით საქართველოში მოქმედებს ხუთი საერთო სახელმწიფო და ორი ადგილობრივი გადასახადი.

ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით გადასახადები შეიძლება დაიყოს:

- გადასახადებად, რომლებიც განეკუთვნებიან წარმოების და მიმოქცევის დანახარჯებს;
- გადასახადებად, რომლებიც ჩართულია პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) გასაყიდ ფასში;
- გადასახადები, რომლებიც განეკუთვნებიან ფინანსურ შედეგს (მოგების დაბეგვრამდე);
- გადასახადები მოგებიდან, რომლებიც ეხება გადასახადის გადამხდელს.

გადასახადების კლასიფიკაციას ხშირად საფუძვლად უდევს დაქვემდებარებულობის და ნებაყოფლობითობის პრინციპი. დაქვემდებარებულობის მიხედვით გადასახადები იყოფა სახელმწიფო, ადგილობრივ, საზოგადოებრივ და საფირმო გადასახადებად, ნებაყოფლობითია: საეკლესიო, პოლიტიკური პარტიების და სხვა გადასახადები.

გამოყენების კრიტერიუმებით განასხვავებენ: საერთო და მიზნობრივ გადასახადებს. საერთო არის საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები. სპეციალიზირებული არის მიზნობრივი გადასახადები, მაგალითად, სამედიცინო დაზღვევის, საგზაო ფონდის და სხვა.

პროპორციული არის ის გადასახადი, რომელიც მატულობს შემოსავლის ზრდის ტემპის პროპორციულად. პროგრესული გადასახადის შემთხვევაში მისი ამოღების ხვედრითი წილი მატულობს შემოსავლების ზრდის შესაბამისად. ფიქსირებული გულისხმობს დასაბეგრ ობიექტზე განსაზღვრული, მყარი საგადასახადო განაკვეთის დადგენას.

XIX.3. გადასახადების სახეები

საგადასახადო კოდექსის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები არის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ამდენად, მათზე ვრცელდება საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთები. ადგილობრივი გადასახადის ქვედა და ზედა ზღვარი ასევე არის განწერილი საგადასახადო კოდექსით, მაგრამ კონკრეტულ განაკვეთებს ამ ზღვრის ფარგლებში ადგენენ ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები.

საშემოსავლო გადასახადი

ახალი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად პირდაპირ გადასახდებს შორის წამყვანი ადგილი უჭირავს საშემოსავლო გადასახადს. ამ შემოსავლით იბეგრება რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირები. დაბეგვრის ობიექტი არის ფიზიკური პირის კორექტორებული ერთობლივი შემოსავალი. აქ შეიტანება, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ მიღებული ფულადი შემოსავლები. ერთობლივ შემოსავალში შედის, როგორც ხელფასის სახით მიღებული, ასევე ის შემოსავლები, რომლებიც არ არის დაკავშირებული დაქირავებულ შრომასთან.

დაქირავებული შრომის შემოსავლებში შედის ნებისმიერი საზღაური (ხელფასი, პრემია), აქვე შეიტანება:

- ❖ საავტორო უფლებების, პროგრამული უზრუნველყოფის, პატენტის, მოდელის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებით მიღებული შემოსავალი;
- ❖ ნოუ-ჰაუს გამოყენებისათვის მიღებული შემოსავალი;
- ❖ საქართველოში არსებული ეკონომიკური მიზნით უძრავი ქონების გამოყენებით მიღებული შემოსავალი;
- ❖ ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი და სხვა.
- ❖ ახალი საგადასახადო კოდექსით დაწესებულია საშემოსავლო გადასახადის ერთიანი განაკვეთი – 20%.

არსებული კანონმდებლობით ფიზიკური პირების შემდეგი სახეობის შემოსავლები თავისუფლდებიან ამ გადასახადისაგან:

- მიღებული გრანტი, სახელმწიფო პრემია, სახელმწიფო კომპენსაცია, აკადემიური სტიპენდია, არასახელმწიფო საპენსიო სქემით მიღებული პენსია;
- ადგილობრივ ან მუნიციპალურ ბიუჯეტში გათვალისწინებული ასიგნებებით გამოყოფილი დახმარებები;
- ოლიმპიურ, მსოფლიო ან ევროპის ჩემპიონებში გამარჯვებისათვის მიღებული ფულადი ჯილდოები;
- I და II რიგის მემკვიდრეების ჩუქების ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება.
- იმ მეწარმეების შემოსავალი, რომლებიც ეწევიან შრომის შემდეგი სახეობის საქმიანობას:
  - – სასოფლო სამეურნეო წარმოება;
  - – ხალიჩების წარმოება;
  - – მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება;
  - – ავტომობილების ტექნიკური მომსახურება;
  - – თეთრეულის და სხვა ნაწარმის რეცხვა, დამუშავება და სხვა.

საშემოსავლო გადასახდით არ იბეგრება იმ ფიზიკურ პირთა დასა-

ბეგრი თანხა, რომელთა შემოსავალი არ არემატება 3000 ლარს. აქ შედის:

– მეორე მსოფლიო ომის და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილენი;

– ბავშვობიდან შეზღუდული უნარის მქონე პირები;

– „ქართლის დედის“ საპატიო წოდების მატარებელნი;

– მარტოხელა დედები;

– პირი რომელმაც იშვილა ბავშვი;

– I და II ჯგუფის ინვალიდები თუ წლის განმავლობაში მათი შემოსავალი არ აღემატება 1500 ლარს და სხვა.

საშემოსავლო გადასახდით არ იბეგრება მიკრობიზნესი.

უცხოეთის მრავალ ქვეყანაში საშემოსავლო გადასახადი არის სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების მნიშვნელოვანი წყარო. ასე მაგალითად, აშშ-ში გადასახადების ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდის საშემოსავლო გადასახადზე. ამ ქვეყანაში ის ამოიღება პროგრესირებადი შკალით. დაწესებულია შემოსავლის დაუბეგრავი მინიმუმი და საგადასახადო განაკვეთები. 2007 წლისათვის ასეთი მინიმუმი შეადგენდა 3000 დოლარს.

საფრანგეთში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 20 პროცენტი მოდის საშემოსავლო გადასახადზე. მისი გადახდა ხდება დეკლარირებული შემოსავლიდან, რომელსაც ავსებს ოჯახი. მასში შეიტანება ყველა ფულადი შემოსავლები: მოძრავი ქონებიდან, სამეწარმეო საქმიანობიდან, არაკომერციული საქმიანობის შემოსავალი, ფასიანი ქაღალდების ოპერაციებით მიღებული მოგება და სხვა. საფრანგეთში საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი მაღალია და მისი ზედა ზღვარი აღწევს 56 პროცენტს. არ იბეგრება შემოსავალი 18140 ფრანკამდე. მაქსიმალური შემოსავალი, რომელიც იბეგრება უმაღლესი განაკვეთით არის 247 ათასი ფრანკი წელიწადში.

დიდ ბრიტანეთში საშემოსავლო გადასახადი გადაიხდება წლიური ერთობლივი შემოსავლიდან, მოქმედებს საშემოსავლო გადასახადის სამი განაკვეთი: 2500 ფუნტ სტერლინგამდე დასაბეგრი თანხა, რომლის განაკვეთი შეადგენს 20 პროცენტს; 24 ათას ფუნტ სტერლინგამდე – 25 პროცენტს, ხოლო მის ზემოთ – 40 პროცენტს.

გერმანიაში საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: დაქირავებული შრომა, სარეწაო, სასოფლო, სატყეო, ქონების არენდით მიღებული შემოსავლები. საშემოსავლო გადასახადი პროგრესირებადი ხასიათისაა, მისი მინიმალური განაკევთი არის 19 პროცენტი, ხოლო მაქსიმალური 53 პროცენტი.

მოგების გადასახდი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადის გადამხდელები არიან საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური საწარმოები. დაბეგვრის

ობიექტი არის მთლიანი მოგების 15 %. უკანასკნელში იგულისხმება მთლიან შემოსავლებსა და მთლიან ხარჯებს შორის სხვაობა. მოგების სიდიდის დასადგენად მთლიანი შემოსავლიდან გამოიქვითება:

- კრედიტისათვის გადახდილი პროცენტი;
- რეალიზებულ საქონელთან (მომსახურებასთან) დაკავშირებული საეჭვო ვალები;
- სადაზღვევო საქმიანობისას სარეზერვო ფონდში გადახდილი თანხები;
- ძირითადი საშუალებების საამორტიზაციო ანარიცხები;
- არამატერიალური აქტივების ხარჯები და სხვა.
- მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებულია:
- საპატრიარქოს რელიგიური საქმიანობით მიღებული მოგება;
- საქველმოქმედო ორგანიზაციების მოგება;
- ინვალიდებისა და მათი რეაბილიტაციის ტექნიკურ საშუალებათა წარმოებით მიღებული მოგება;
- საქართველოს ეროვნული ბანკის მოგება;
- საერთაშორისო ორგანიზაციების მოგება.

მოგების გადასახადი საქართველოში შეადგენს 18 პროცენტს. მოგების გადა-სახადი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს. ამასთან ერთად, ის განისაზღვრება განაკვეთის სხვადასხვა დონით 9-დან 45 პროცენტამდე. მოგების გადასახადის გადახდის გაანგარიშების პრაქტიკა მსოფლიოს ქვეყნებში არის განსხვავებული. ამასთან, საერთო არის ის, რომ ის დგება დიფერენცირებულად მოგების დონეების მიხედვით. ასე მაგალითად, აშშ-ში 50 ათასი დოლარის მოგება იბეგრება 15 პროცენტით, 25 ათასი – 25 პროცენტით, მას ზემოთ34 პროცენტით. მოგების ფედერალურ გადასახადთან ერთად შესაძლებელია მისი დადგენა შედეგების მიხედვითაც და ის მერყეობს 3-დან 10 პროცენტამდე.

საფრანგეთში დაბეგვრას ექვემდებარება წმინდა მოგება, რომელიც წარმოად-გენს სხვაობას შემოსავლებსა და საწარმოს საქმიანობისათვის გაწეულ ხარჯებს შორის. ამავე გადასახადის განაკვეთი შეადგენს 34 პროცენტს, შედარებით დაბალი განაკვეთი 10-დან 24 პროცენტამდე გამოიყენება სოფლის მეურნეობაში.

დიდ ბრიტანეთში მოგების გადასახადები შეადეგნს 33 პროცენტს. მცირე ბიზ-ნესის სტიმულირების მიზნით მას ეძლევა შეღავათი და მოგების გადასახადი შეადგენს 25 პროცენტს. დიდ ბრიტანეთში მცირეს განეკუთვნება ის საწარმოები, რომლებიც წელიწადში 250 ათას ფუნტ სტრელინგის მოგებას ღებულობენ. ნავთობკორპორაციები იხდიან 75 პროცენტიანი მოგების გადასახადის განაკვეთს.

გერმანიაში კოპორაციების მოგების ორი განაკვეთია. თუ მოგება არ ექვემდებარება განაწილებას გადასახადის განაკევთი 50 პროცენტია. ის მოგება რომე-ლიც დივიდენდების სახით ნაწილდება იბეგრება 36 პროცენტიანი განაკვეთით. გერმანიაში საშუალოდ ეს გადასახადი შეადგენს 42 პროცენტს.

სხვა ქვეყნებში გამოიყენება მოგების გადასახადის შემდეგი განაკვე-

თები: იაპონიაში – 40 პროცენტი, ავსტრიაში – 30 პროცენტი, პორტუგალიაში – 35 პროცენტი, ფინეთში – 28 პროცენტი, პოლონეთში – 40 პროცენტი, იტალიაში – 53 პროცენტი.

დამატებული ღირებულების გადასახადი

არაპირდაპი გადასახადთა შორის გადამჭრელი მნიშვნელობა ენიჭება დამატებული ღირებულების გადასახდს (დღგ-ს). ამ გადასახდის შემოღების ინიციატორი არის ფრანგი ეკონომისტი მ. ლორე. ის პირველად საფრანგეთში 1954 წელს გამოიყენეს. საქართველოში ეს გადასახადი შემოღებულ იქნა 1992 წელს ბრუნვის გადასახდის ნაცვლად. დღეისათვის მასზე მოდის მთელი გადასახადების თითქმის ნახევარი.

დამატებული ღირებულების გადასახადი წარმოადგენს საქონლის (მომსახურების) წარმოებისა და განაწილების ყველა ეტაპზე დამატებული ღირებულების გარკვეული ნაწილის ბიუჯეტში ამოღების ფორმას. იმისათვის, რომ დავადგინოთ დღგ დარიცხვის წესი, მიზანშეწონილია განვიხილოთ შემდეგი პირობითი მაგალითი. ვთქვათ, სახერხი საამქრო ავეჯის დასამზადებლად ქარხანას უგზავნის ნედლეულს, რომლის ღირებულება არის 100 ერთეული. იმ შემთხვევაში, როდესაც ნედლეული გადაეგზავნება ავეჯის ქარხანას მისი ფასის გრაფაში იწერება დღგ 18 პროცენტი. ამდენად, საბოლოო თანხა იქნება 118 პროცენტი: 100+(დღგ18%)=118

ავეჯის ქარხანა 18 ერთეულს რიცხავს სახელმწიფო ბიუჯეტში. ამდენად საქონლის ფასი ამ შემთხვევაში არის 118 ერთეული.

ამდენად, 118 ერთეული ფასი შედგება 100 გადმორიცხვის ფასისა და 18 დღგ-სგან.

დღგ-ს გააჩნია დადებითი მხარეები: პირველი – ის ასტიმულირებს გადამ-ხდელებს, რომ მათ არ დაამახინჯონ ფასები, შეზღუდონ ფასწარმომქმნელი დანახარჯები; მეორე, დღგ-ს გადახდის შედეგად სახელმწიფო ღებულობს ზუსტ მონაცემებს კაპიტალის მოძრაობის შესახებ და მას ეძლევა შესაძლებლობა არეგულიროს მაკროეკონომიკური პარამეტრები. მესამე – დღგ არის წინასწარი გადასახდი, რადგანაც მისი ბიუჯეტში გადარიცხვა ხდება პროდუქციის რეალიზაციამდე.

მისი ნაკლოვანებებია: პირველი – როგორც ირიბი გადასახადი ის შედის საქონლის და მომსახურების ფასში და ერთნაირად აწვება მეწარმეთა ყველა ფენას, რითაც ირღვევა სოციალური სამართლიანობა; მეორე – მაღალი ფასების და დაბალი შემოსავლების პირობებში ერთობლივი მოთხოვნა მცირდება, რაც არღვევს მაკროეკონომიკურ წონასწორობას; მესამე – სხვა გადასახადებისაგან განსხვავებით რთული და შრომატევადია მისი გაანგარიშება.

დღგ-ს გადამხდელი არის ის პირი, რომელიც რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად. დღგ-ს დაბეგვრის ობიექტი არის დასაბეგრი ოპერაცია ან იმპორტი. დასაბეგრი ოპერაციებია:

- ❖ დღგ-ით შეძენელი საქონლის (მომსახურების) გამოყენება არაეკო-

ნომიკური საქმიანობისათვის თუ ამ საქონლის (მომსახურების) გადამხდელმა მიიღო დღგ-ს ჩათვლა;

- საქონლის ექსპორტი;
- გადამხდელის მიერ საქონლის (მომსახურების) მიწოდება თანამშრომ-ლებისათვის კომპენსაციით ან მის გარეშე;
- დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში საქონლის ნაშთი, რომელზეც გადამხდელს მიღებული ან მისაღები აქვს ჩათვლა, განიხილება, როგორც დღგ-ს დასაბეგრი მიწოდება.
- დღგ-ს გადახდისაგან თავისუფლდება:
- ეროვნული ან უცხოური ვალუტის და ფასიანი ქაღალდების მიწოდება ან იმპორტი;
- საქართველოს ეროვნული ბანკის გადასაცემი ოქროს იმპორტი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქციზური მარკის მიწოდება და იმპორტი;
- სახელმწიფო ქონების მიწოდება პრივატიზაციის პროგრამის მიხედვით;
- საპატრიარქოს მომსახურება რელიგიური მიზნით;
- სახელმწიფოს რეგულირებადი ფასების ტრანსპორტით მომსახურება;
- ლატარეით, კაზინოებით, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების მომსახურება და სხვა.

დამატებული ღირებულების გადახდის განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ბრუნვის ან დასაბეგრი იმპორტის 18 პროცენტს. დასაბეგრი ბრუნვა არის საანგარიშო პერიოდში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების თანხის ჯამი.

სხვადასხვა ქვეყანში დღგ-ს განაკვეთები არაერთგაროვანია, რიგ ქვეყნებში ის დიფერენცირებულია. მაგალითად, საფრანგეთში გამოიყენება სამი განაკვეთი: ზღვრული 28,0% (ფუფუნების საგნებსა და მომსახურებაზე); ნორმალური – 18,6% (ყველა სახის საქონელზე და მომსახურებაზე); მინიმალური – 5,5% (პირველადი დანიშნულების საგნებზე და კვების პროდუქტებზე). დღგ-სგან განთავისუფლებულია სახელმწიფო დაწესებულებები, რომელთა საქმიანობა მიმართულია ადმინისტრაციული, სოციალური, აღმზრდელობითი, სამედიცინო, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის; ის საწარმოები, რომელთა წლიური ბრუნვა არ აღემატება 70 ათას ფრანკს. ავსტრიაში დღგ-ს განაკვეთი 20 პროცენტია. ზოგიერთ საქონელზე (ბინა, კვების პროდუქტები) 10 პროცენტია. ნორვეგიაში ის 23 პროცენტია. გერმანიაში ის შეადგენს 15 პროცენტს, ხოლო ზოგიერთ საქონელზე (კვების პროდუქტები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, პოლიგრაფიული ნაწარმი) 7 პროცენტია. მისგან თავისუფალია მცირე საწარმოები, რომელთა ბრუნვა არ აღემატება 25 ათას მარკას; საექსპორტო მიწოდება; სოფლის მეურნეობის საწარმოები და სხვა. ეს მაჩ-

ვენებელი გერმანიის საბიუჯეტო სტრუქტურაში შეადგენს 30 პროცენტს.

დიდ ბრიტანეთში დღგ შეადგენს 17,5 პროცენტს. მისგან განთავისუფლებულია კვების პროდუქტები, ელექტროენერგია, მედიკამენტები, განათლების სისტემა. ქვეყნის საბიუჯეტო სტრუქტურაში ის შეადგენს 17-19 პროცენტს.

აქციზი

გადასახადების ისტორიაში ერთ-ერთი უძველესი არის აქციზი, რადგანაც ის გვხვდება რომის იმპერიის პერიოდში. ძველ რომში გვხვდება აქციზი მარილზე, ღვინოზე და სხვა. აქციზი არის ირიბი გადასახადი, რომლის ამოღება ხდება ზოგიერთი დასახელების საქონლისა და მომსახურების გაყიდვისას. ის ემატება საქონლის (მომსახურების) ღირებულებას და ამდენად, მისი გადამხდელი არის მომხმარებელი. აქციზით დაბეგვრას აქვს თავისებურებები: აქციზით სამუშაოს, მომსახურების დაბეგვრა იშვიათია და ის უპირატესად გამოყენებულია წარმოების სფეროში, აქციზით იბეგრება საქონლის სარეალიზაციო ბრუნვა, ამიტომ, იმ საქონლის ნუსხა, რომლითაც ის იბეგრება არის ვიწრო; გამონაკლისია იმპორტირებული საქონელი, ამ შემთხევაში აქციზის გადამხდელები არიან იური-დიული და ფიზიკური პირები, რომელთაც ეს საქონელი რეალიზაციისთვის შეისყიდეს; აქციზი განსხვავდება დამატებული ღირებულების გადასახადისაგან იმით, რომ ის ვრცელდება მხოლოდ საქონლის გარკვეულ ჯგუფზე, მაშინ, როდესაც დღგ უნივერსალური გადასახადია.

ძირითადი მიზანი, რომლის გამოც შემოღებულია აქციზური გადასახადი არის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა. ამასთან, ის შესაძლებელია ემსახურებოდეს ჯანმრთელობის დაცვის, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გამოთანაბრების და სხვა მიზნებს. მაგალითად, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლური სასმელების აქციზით დაბეგვრა ემსახურება, როგორც ბიუჯეტის შევსებას, ასევე ჯანმრთელობის დაცვას. მსუბუქი ავტომობილების აქციზით დაბეგვრა ემსახურება გარემოს დაცვას, ამასთან, ბიუჯეტის გადანაწილების მექანიზმით სოციალური პროგრამების რეალიზაციას. ამდენად, აქციზს შესაძლებელია სხვადასხვა მიზანი გააჩნდეს.

აქციზის განაკვეთები დგება ორი ფორმით: ადვალური, რაც ნიშნავს აქციზური განაკვეთის საქონლის ფასის შესაბამის დადგენას და ფიზიკურ ერთეულზე (ლიტრი, კოლოფი და სხვა) ფიქსირებული განაკვეთის დადგენას. ამდენად, ბოლო შემთხვევაში ფასების ზრდა არ იწვევს აქციზის სიდიდის ზრდას. საქართველოში გამოიყენება დაბეგვრის ორივე ფორმა.

აქციზურ გადასახდს არ ექვემდებარება:

- ❖ ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის წარმოებული ალკოჰოლური სასმელები;
- ❖ ფიზიკური პირის მიერ 2 ლიტრი ალკოჰოლური სასმელისა

და 200 ღერი სიგარეტის იმპორტი;

- შემომსვლელი ავტოსატრანსპორტო საშუალების ავზში არსებული საწვავი;
- აქციზური საქონლის ტრანზიტი;
- ნავთობპროდუქტების იმპორტი „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და სხვა.

აქციზური დაბეგვრის მექანიზმის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი არის აქციზური მარკა. აქციზური მარკა არის აქციზის გადახდის კონტროლის მექანიზმის მნიშვნელოვანი კომპონენტი. საქონელზე მისი წარმოშობის მიუხედავად, სახელმწიფოს მიერ დადგენილია აქციზური მარკების განთავსების პრაქტიკა. მარკირების პროცესში მწარმოებლები იხდიან, როგორც აქციზს, ასევე აქციზური მარკის საფასურს.

უცხოეთის თითქმის ყველა ქვეყანაში გამოიყენება აქციზური დაბეგვრის სისტემა. აშშ-ში ის XVIII საუკუნის სამოქალაქო ომიდან დაწყებული დღემდე ფედერალური ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილია. აშშ-ში აქციზი განისაზღვრება საქონლისა და მომსახურების ფასზე მიმართებით. მაგალითად, ბარელ ლუდზე – 8 დოლარი, 10 კოლოფ სიგარეტზე – 8 დოლარი, გალონ ბენზინზე – 9 ცენტი და სხვა. გარდა ფედერალური აქციზისა დაწესებულია ტერიტორიული (შტატის აქციზები), რის საფუძველზე მიღებული შემოსავლები ირიცხება ტერიტორიულ ბიუჯეტში. გერმანიაში აქციზის ფუნქციას ასრულებს ე.წ. გადასახადი მოხმარებზე. ამ გადასახადით იბეგრება ცალკეული სახეობის საქონელი, ხოლო ამოღებული თანხა ირიცხება, როგორც ფედერალურ, ასევე მიწების ბიუჯეტებში. ფედერალურში ირიცხება გადასახადი: ნავთობზე, ნავთობ პროდუქტებზე, სპირტზე, არაყზე, ყავაზე, მარილზე და სხვა. ადგილობრივ (მიწების) ბიუჯეტში – ლუდის, ლიმონათის და სხვა. ინგლისში აქციზური განაკვეთი მერყეობს 10-დან 30 პროცენტამდე. ის განისაზღვრება, როგორც პირობითი საზომი ერთეულის, ასევე ღირებულების მიხედვით. მაგალითად, საწვავზე ის განისაზღვრება ლიტრიდან განსაზღვრული მყარი თანხით, ხოლო თამბაქოს ნაწარმზე, ფასზე პროცენტული დანამატით.

ზოგიერთ ქვეყანაში აქციზით იბეგრება საქონლის შეზღუდული წრე. მაგალითად, შვეციაში აქციზით იბეგრება მხოლოდ ოთხი სახის საქონელი: ალკოჰოლი, თამბაქო, ბენზინი, ენერგია.

ქონების გადასახადი

ქონების გადასახადი წარმოადგენს ადგილობრივ გადასახადს, რომლის შემოღების უფლება აქვს თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებს. დაბეგვრის ობიექტი არის საქართველოს საწარმოების ძირითადი კაპიტალი, დაუმონტაჟებელი მოწყობილობა, დაუმთავრებელი მშენებლობა, არამატერიალური აქტივები და სხვა. ქონების გადასახადით იბეგრება ქონების არაუმეტეს 1%-სა. 100 ათას ლარამდე ოდენობის შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის არანაკლებ 0,05% და არაუმეტეს 0,2%. 100 ათას ლარზე მეტის შემთხვევაში არანაკლებ 0,8% და არაუმეტეს 1%.

XIX. 4. საგადასახადო შეღავათები სპეციალურ ეკონომიკურ ზონებში

თეზ-ების წარმოშობა დაკავშირებულია საზღვაოსნო მიმოსვლისა და ვაჭრობის განვითარებასთან. მე-12 საუკუნეში საფრანგეთში საპორტო ქალაქ მარსელში შეიქმნა პირველი თეზ. მე-13 მე-14 საუკუნეებში ისინი განვითარდნენ გერმანიისა და იტალიის საპორტო ქალაქებში. ამჟამად მსოფლიოში 700-ზე მეტი თეზია და ისინი მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ფუნქციას ასრულებენ. საქართველოში პირველი თეზ შეიქმნა ქ. ბათუმში 1878 წელს და ის „პორტო ფრანკოს“ თავისუფალი ნავსადგურის სახელითაა ცნობილი.

თავისუფალი ეკონომიკური ზონა არის საქართველოს ეკონომიკური სისტემის მსოფლიოს ეკონომიკაში ინტეგრაციის ერთ-ერთი საშუალება. ის იქმნება:

- საზღვარგარეთის კაპიტალის მოზიდვის პირობების შესაქმნელად;
- ახალი, ინოვაციური ტექნოლოგიების ათვისება-დანერგვისათვის;
- კვალიფიცირებული პერსონალის მოსაზიდად;
- საექსპორტო ორიენტაციის დარგების განვითარებისათვის.
- თავისუფალი ეკონომიკური ზონების რეზიდენტები (მონაწილეები) არიან:
- საზღვარგარეთის ინვესტიციებით შექმნილი საწარმოები;
- ერთობლივი საწარმოები;
- უცხოური კომპანიების შვილობილი კოპანიები.

თავისუფალი ეკონომიკური ზონები იყოფა ორ ჯგუფად: საერთო დანიშნულების და სპეციალური დანიშნულების ზონებად საერთო დანიშნულების არის ის ზონა, რომელიც გატანილია ეროვნული საბაჟო ტერიტორიის გარეთ. ეს არის შედარებით მცირე ტერიტორიები შექმნილი მსხვილ

საზღვაო პორტებთან ან აეროპორტებთან ახლოს.

სპეციალური დანიშნულების ზონები (სუბზონა) იქმნება მსხვილი კორპორაციების შექმნის და მათი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით.

საერთო დანიშნულების ზონები ხელს უწყობენ: ეროვნული ეკონომიკის განვითარების დაჩქარებას. ზრდიან ქვეყანაში დასაქმების დონეს; აფართოებენ საგარეო ვაჭრობას. თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა ყველა ქვეყანაში სპეციფიკურია. ამასთან, ისინი ექვემდებარებიან რამდენიმე საერთო პრინციპს.

ესენია:

- ❖ ტერიტორიის ლოკალურობა;
- ❖ ლოიალური საგადასახადო, იურიდიული და საფინანსო-ეკონომიკური რეჟი-მების არსებობა;
- ❖ სპეციალიზებული საქმიანობა (მაგ., საბანკო ოფშორები, სადაზღვევო ოფშორები და სხვა);
- ❖ უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი დაცვა.

საზღვარგარეთის კომპანიებს ასეთ ეკონომიკურ ზონებში გააჩნიათ საგადასახადო, საექსპორტო-საიმპორტო, საბაჟო და სხვა შეღავათები, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას მოგების ნორმა გაზარდონ 40 პროცენტამდე, რაც განსაკურებით მიმზიდველს ხდის ამ ზონებს.

თავისუფალი ეკონომიკური ზონა და ოფშორული ზონა (ოფშორის – ინგლ. Offshore – საზღვარგარეთ) ეკონომიკური შინაარსით არის ერთი და იგივე ცნებები. ამასთან, ოფშორის ქვეშ იგულისხმება განკერძოებული რეგიონი, კუნძული, რომელშიც მოქმედებს ოფშორის შემქმნელი ქვეყნის ზოგიერთი სამართლებრივი ნორმა.

ოფშორების საერთო ნიშნები არის შემდეგი:

- არ ხდება ფასიანი ქაღალდების შემოსავლების დაბეგვრა;
- მათთვის დამახასიათებელია აქტივების მინდობილობით მართვა;
- ექსპორტირებულ კაპიტალზე ყველა ტიპის გადასახდების არარსებობა.

ამასთან, ოფშორებში არის სპეციფიკური საგადასახდო შეღავათებისა და დაბეგვრის სისტემა.

მსოფლიოში დღეისათვის არსებობს 3000-ზე მეტი სპეციალური ეკონომიკური ზონა. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ მათი რაოდენობა სისტემატიურად იცვლება. ნაწილი ქრება, ხოლო მეორე ნაწილი ახლად ჩნდება. სპეციალური ეკონომიკური ზონების თავისებურება, საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციაში ან საერთოდ გაუქმებაში მდგომარეობს. ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის ირლანდია, ლიბერია, ლიხტენშტეინი, პანამა,

გადასახადები საერთოდ არ ამოიღება ან ამოიღება უმნიშვნელო რაოდენობით. მაგალითად, კომპანიის რეგისტრაციის პროცესში ხდება დადგენილი თანხის, აგრეთვე სარეგისტრაციო შენატანის გადახდა, დადგენილია საბანკო და სადაზღვევო სატრანსპორტო საქმიანობის მოსაკრებლები.

1973 წელს დაარსდა კარიბის კუნძულების თანამეგობრობის ორგანიზაცია CARIOCOM, რომელიც აერთიანებს 23 კუნძულ სახელმწიფოს, რომელთათვის დამახასიათებელია შეზღუდული ბუნებრივი რესურსები, განუვითარებელი შიდა ბაზარი, დამოკიდებულება ექსპორტსა და ტურიზმზე. ამის გამო, ეს ქვეყნები ცდილობენ შეუქმნან მაქსიმალურად ლიბერალური საგადასახადო პირობები უცხოელ ინვესტორებს, რათა მოიზიდონ კაპიტალი. ასე მაგალითად, კაიმანოვის კუნძულებზე 25 უმსხვილესი მსოფლიოს ბანკიდან 20-ს გააჩნია თავისი ფილიალი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბიზნესის მოზიდვის მიზნით საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციამ გამოიწვია ოფშორული ზონების განვითარება. ასე მაგალითად, ლა-მანშის კუნძულზე ფუნქციონირებს 80-მდე უცხოური ბანკი და 35 ათასამდე საფინანსო კომპანია, რომელთა დეპოზიტების მოცულობა 160 მილაირდს აღემატება. ამ ზონაზე არ ვრცელდება ევროსაბჭოს მიერ დადგენილი ბანკების რეგულირების და დაბეგვრის კანონები.

ბაგამის კუნძულებზე არ არსებობს საშემოსავლო, კორპორატიული, მოგების გადასახადი.

ჰონკონგში ამოიღება 15 პროცენტიანი გადასახადი შიდა გარიგებებისა და ოპერაციებისაგან. უცხოური ქონება გადასახადით არ იბეგრება.

ლუქსებურგში, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო ცენტრს ჰოლდინგები არ იბეგრება. არ არსებობს დამატებული ღირებულების გადასახადი.

მონაკოში ფიზიკური პირები გადასახადით არ იბეგრება, საზღვარგარეთის ფირმებისათვის არის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი.

შეისელის კუნძულებზე უცხოელი მეწარმეები განთავისუფლებულნი არიან ყოველგვარი გადასახადისაგან.

კვიპროსზე გადასახადი უცხოელებზე არ აღემატება 5 პროცენტს. ამასთან, შეღავათები გადასახადებზე ვრცელდება კუნძულის მხოლოდ ბერძნულ ნაწილზე.

არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში ყველაზე წარმატებულია ჯებალ ალის თავისუფალი ეკონომიკური ზონა JAFZA, სადაც არ არსებობს გადასახადები. ეს ნავთობმომპოვებელი ქვეყანა 1,2 მილიონი მოსახლეობით წარმოადგენს საგადასახდო „ოაზისს“, რის გამოც იზიდავს ინვესტორების დიდ რაოდენობას. ამასთან, JAFZA-ში შედარებით ნაკლები ნავთობის რაოდენობაა, რამაც მის საკომპენსაციოდ გამოიწვია სპეციალური ეკონომიკური ზონის შექმნა. აქ რეგისტრირებულია 6000-ზე მეტი კომპანია მსოფლიოს 120 ქვეყნიდან. JAFZA-ს ზონის ანალოგიურის შექმნა არის

ნავარაუდევი ფოთში, სადაც ზონის შიდა ტერიტორიაზე არსებული კომპანიები ყველა ტიპის გადასახადისაგან განთავისუფლდება, გარდა სარეგისტრაციო და მომსახურების გადასახადისა.

XIX. 5 ლიცენზიების, პატენტებისა და ნებართვების როლი ბიზნესში

ლიცენზიის ან ნებართვის მოპოვება საჭიროა ისეთი ბიზნესსაქმიანობის განსახორციელებლად, რომელიც რეგულირდება სახელმწიფოს მიერ და ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან.

არსებობს ლიცენზიების შემდეგი სახეები:

საქმიანობის ლიცენზია – ლიცენზიის სახეობა, რომელიც საჭიროა კანონით ლიცენზირებას დაქვემდებარებული საქმიანობის განსახორციელებლად. საქმიანობის ლიცენზია გაიცემა მაძიებლის მიერ კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების შემდეგ და უკავშირდება სუბიექტს. საქმიანობის ლიცენზიის მემკვიდრეობით ან სხვა სახით გადაცემა დაუშვებელია;

სარგებლობის ლიცენზია – ლიცენზიის სახეობა, რომელიც საჭიროა სახელმწიფო რესურსებით სარგებლობისათვის (მაგ: სასარგებლო წიაღისეული, ხე-ტყე, მიწისქვეშა რესურსი და სხვა). სარგებლობის ლიცენზია გაიცემა აუქციონის წესით და უკავშირდება ობიექტს. ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია დაყოს სარგებლობის ლიცენზია ან/და მთლიანად ან ნაწილი გადასცეს სხვა პირს, მათ შორის, მემკვიდრეობით;

გენერალური ლიცენზია – უფლება, როდესაც პირს შეუძლია ერთიანი ზოგადი ლიცენზიის საფუძველზე განახორციელოს მსგავსი ტიპის საქმიანობები და ვალდებული არ არის ცალ-ცალკე მოიპოვოს თითოეული საქმიანობის ლიცენზია;

სპეციალური ლიცენზია – უფლება, როდესაც პირს შეუძლია განახორციელოს ლიცენზირებადი საქმიანობის რომელიმე ვიწრო საქმიანობა ისე, რომ არ მოიპოვოს საქმიანობათა უფრო ფართო წრის მარეგულირებელი ლიცენზია.

საქართველოში გამოიყენება საქმიანობის და სარგებლობის შემდეგი სახეობის ლიცენზიები:

საქმიანობის ლიცენზიის სახეები			სარგებლობის ლიცენზიის ზოგიერთი სახეები
1	ჩვილ ბავშვთა და ბავშვთა კვების პროდუქტების წარმო-	9	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება

2	მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სააღმზრდელო საქმიანობა	10	ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობა
3	ბუნებრივი გაზის და ნავთობის ტრანსპორტირება, დამუშავება/გადამუშავება, ელექტროენერგიის და ბუნებრივი გაზის განაწილება	11	ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზია □ ხე-ტყის დამზადება □ სამონადირეო მეურნეობა
4	კერძო დაცვითი საქმიანობა	12	თევზჭერა
5	ბიოლოგიური პესტიციდების წარმოება	13	მიწისქვეშა სივრცის გამოყენება
6	დაკვირვების ელექტრონული საშუალებების დამზადება, შემოტანა, იმპორტი ან ექსპორტი	14	ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზია
7	საბანკო და არასაბანკო-სადეპოზიტო – საკრედიტო საქმიანობა	15	ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზია
8	კონკრეტული სახეობის იარაღით ვაჭრობა	16	რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია

საქართველოში ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად უნდა მივმართოთ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს.

ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზიაში შედის:

□ა) ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია;

ბ) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია

(ეს ორი ლიცენზია შეიძლება ცალ-ცალკეც გაიცეს, მაგრამ გენერალური ლიცენზია ორივეს მოიცავს).

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ „ბუნებრივი რესურსების სააგენტო“ გასცემს შემდეგი სახის ლიცენზიებს

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია:

1. ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზია;

2. ნავთობის გადამუშავების, ბუნებრივი გაზის დამუშავების, ნავთობის ტრანსპორტირების ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზია.

საქართველოში მოქმედებს ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობისთვის დადგენილია გენერალური ლიცენზიის გაიცემის შემდეგი

წესი:

ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალურ ლიცენზიას გასცემს ბუნებრივი რესურსების სააგენტო ტენდერში ან აუქციონში გამარჯვებულ ინვესტორთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხელმოწერიდან ერთი თვის განმავლობაში;

ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ ჩატარებულ ტენდერში ან აუქციონში გამარჯვებულ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის იდება ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ინვესტორს ენიჭება ნავთობისა და გაზის რესურსების ექსპლუატაციისა და ფართობზე ნავთობისა და გაზის შემცველი წიაღით სარგებლობის უფლებები;

ტენდერისა და აუქციონის ჩატარების წესებსა და პროცედურას განსაზღვრავს სააგენტო და ერთი თვით ადრე ატარებს რეგისტრაციაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

ტენდერის ჩატარების შემთხვევაში: გამარჯვებულად ითვლება განმცხადებელი, რომელიც აკმაყოფილებს ტენდერის მოთხოვნებს; ინვესტორის ტენდერში გამარჯვებიდან ერთი თვის განმავლობაში იწყება მოლაპარაკება სააგენტოსა და ტენდერში გამარჯვებულ ინვესტორს შორის ხელშეკრულების დადების მიზნით; ინვესტორი იხდის სალიცენზიო მოსაკრებელს.

ხელშეკრულების ძირითადი ფორმებია: პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება; სარისკო მომსახურების ხელშეკრულება; მომსახურების ხელშეკრულება.

ხელშეკრულების და ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის შესაბამისი ლიცენზიის მოქმედების მაქსიმალური ვადაა 25 წელი.

გარდა ნავთობისა და გაზის რესურსების სარგებლობის გენერალური ლიცენზიისა, ბუნებრივი რესურსების სააგენტო ნავთობისა და გაზის სფეროში გასცემს საქმიანობის ლიცენზიას, რომელიც ადასტურებს პირის უფლებას განახორციელოს ნავთობისა და გაზის დამუშავება, ბუნებრივი გაზის დამუშავება, ნავთობის ტრანსპორტირება ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება.

საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად პირი, განაცხადით მიმართავს სააგენტოს. საქმიანობის ლიცენზიის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 25 წელს საქმიანობის ლიცენზიას ექვემდებარება: ნავთობის გადამუშავება; ბუნებრივი გაზის დამუშავება; ნავთობის ტრანსპორტირება; ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება.

ბუნებრივი რესურსებით (გარდა ნავთობისა და გაზის რესურსების) სარგებლობის ლიცენზია გაიცემა აუქციონის წესით.

აუქციონის გამოცხადების მსურველმა უნდა წარმოადგინოს

1) განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს მონაცემებს მოსაპოვებელი რესურსის სახეობის, ოდენობის, ადგილმდებარეობისა და ლიცენზიის მოქმედების ვადის შესახებ.	3) კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა და ინდივიდუალურმა მეწარმემ – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი, ფიზიკურმა პირმა – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები.
2) სალიცენზიო ობიექტის X და Y კოორდინატები.	4) განცხადებით გათვალისწინებული ტერიტორიის კერძო საკუთრებაში არსებობის შემთხვევაში – კერძო საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი და მესაკუთრის თანხმობა ლიცენზიის ვაცემის თაობაზე.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარადგინოს	
1) განცხადება.	3) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.
2) კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა და ინდივიდუალურმა მეწარმემ სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ფიზიკურმა პირმა – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლი, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები.	4) ბეს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

ბიზნესის ნებართვები

ნებართვა გაიცემა სახელმწიფოს მიერ რეგულირებული საქმიანობისთვის და უკავშირდება კონკრეტულ ობიექტს.

ნებართვის სახეები			
1	ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტის, იმპორტის, ასევე ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვა	12	„გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის,
2	საერთაშორისო საავტომობილო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა, საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვა	13	სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტი ან ექსპორტი
3	გარემოზე ზემოქმედება	14	არაიოდიზებული მარილის იმპორტი
4	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოები	15	ტირის, სასროლეთის, სასროლოსანადირო სტენდის გახსნა და მოწყობა
5	ფარმაკოლოგიური საშუალების კლინიკური კვლევა	16	იარაღის კოლექციონირება და ექსპონირება
6	თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობა საწყობის (ღია ან დახურული) საქმიანობა თავისუფალი საწყობის საქმიანობა	17	შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოება, ტრანსპორტირება, იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი ან ტრანზიტი
7	მშენებლობა და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობა	18	ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი ან ტრანზიტი
8	აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების, კაზინოების მოწყობა	19	საქართველოს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანა
9	არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვა	20	ავტორიზებული აფთიაქის ნებართვა
10	ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა	21	სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენება
11	ფარმაცევტული წარმოება	22	გარე რეკლამის განთავსება

 განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის ნებართვა შეიძლება აღებულ იქნას შემდეგი წესით:

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ტექნიკური და სამშენებლო ინსპექცია გასცემს შემდეგი სახის ნებართვებს: საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვა; სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვა. ნებართვის მისაღებად აუცილებელია რამდენიმე სტადიის გავლა:

I სტადიაზე აუცილებელია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება (აგდ);
II სტადიაზე: პროექტის შეთანხმება; III სტადიაზე: მშენებლობის ნებართვის გაცემა.

 მშენებლობის ნებართვის აღების წესი არის შემდეგი:
ქ.თბილისში მშენებლობის ნებართვის მისაღებად აუცილებელია მივმართოთ ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – თბილისის არქიტექტურის სამსახურს. მშენებლობის ნებართვის გაცემა მოიცავს სამ ეტაპს:

I ეტაპი
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა (გაპი)
თბილისის არქიტექტურის სამსახურში უნდა წარადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:
1. განცხადება, სადაც მითითებულია რა ფუნქციის
შენობის მშენებლობას აპირებთ;
2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ – ფართობი, მისამართი, საკადასტრო კოდი, მესაკუთრე;
3. სიტუაციური გეგმა ან აეროფოტო გადაღება, მასშტაბით 1:2000
4. ტოპოგრაფიული რუკა, მასშტაბით 1:500;

 პირველი ეტაპის საქმის წარმოების ვადა მოიცავს 15 სამუშაო დღეს და მიიღებთ ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ადმინისტრაციულ აქტს.

II ეტაპი
პროექტის შეთანხმება
თბილისის არქიტექტურის სამსახურში უნდა წარადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:
1. განცხადება, პროექტის შეთანხმების მოთხოვნით;
2. მიწის ნაკვეთის საკადასტრო რუკა ან გეგმა;
3. ქალაქმშენებლობითი პირობების დადგენის შესახებ ადმინისტრაციული აქტის რეკვიზიტები;
4. შენობა–ნაგებობის არქიტექტურული პროექტი.

მეორე ეტაპის საქმის წარმოების ვადა მოიცავს 20 სამუშაო დღეს და მიიღებთ პროექტის შეთანხმების ადმინისტრაციულ აქტს

III ეტაპი
მშენებლობის ნებართვის გაცემა თბილისის არქიტექტურის სამსახურში უნდა წარადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:
1. განცხადება, მშენებლობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით;
2. მიწის ნაკვეთის მესაკუთრის შესახებ ინფორმაცია (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან);
3. საინფორმაციო დაფის (ბანერი) ფოტო სურათი;
4. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის ქვითარი;
5. ქალაქმშენებლობითი პირობების დადგენის შესახებ ადმინისტრაციული აქტის რეკვიზიტები;
6. პროექტის შეთანხმების შესახებ ადმინისტრაციული აქტის რეკვიზიტები;
7. შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული პროექტი;

მესამე ეტაპის საქმის წარმოების ვადა მოიცავს 10 სამუშაო დღეს და მიიღებთ მშენებლობის ნებართვის ადმინისტრაციულ აქტს.

სამგზავრო-სატვირთო გადაყვანა-გადაზიდვის ნებართვებს გასცემს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო".

№	ნებართვის სახე	საჭირო დოკუმენტაცია	მომსახურების ვადა
1	საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი საერთაშორისო სამგზავრო გადაყვანის ნებართვა	ავტოსატრანსპორტო საშუალების ფლობის საბუთის ასლი და მათი გზისთვის ვარგისიანობაზე ტესტირების გავლის დამადასტურებელი ფირნიში; შესაბამისი კატეგორიის მძღოლის მართვის მოწმობის ასლი; ინფორმაცია სვლაგეზის, მოძრაობის განრიგის, ტარიფების, გასაჩერებელი პუნქტების, სადაც გადამზიდველი განახორციელებს მგზავრების ჩასხდომას და გადმოსხდომას და მგზავრთა მოსალოდნელი გადაყვანის პერიოდულობის შესახებ; კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის – სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი; ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთის ასლი; საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლი	20 სამუშაო დღის ვადაში
2	ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენციის (ECMT) მრავალმხრივი ნებართვა	ავტოსატრანსპორტო საშუალების ფლობის საბუთის ასლი და მისი გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების გავლის დამადასტურებელი ფირნიში; ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის სერტიფიკატის ასლი; კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის – სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი; ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთის ასლი; საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლი.	სხვადასხვა
3	საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის განსახორციელებლად განკუთვნილი (კვოტის ფარგლებში) ნებართვა	ავტოსატრანსპორტო საშუალების ფლობის საბუთის ასლი და მისი გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების გავლის დამადასტურებელი ფირნიში; შესაბამისი კატეგორიის მძღოლის/ების მართვის მოწმობის ასლი; კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის – სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი; ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთის ასლი; საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლი.	20 სამუშაო დღის ვადაში

4	საქართველოს ტერიტორიიდან საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვის ნებართვა (საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე დადგენილი კვოტის ზევით), რომელიც ხორციელდება უცხო ქვეყნის გადამზიდველის მიერ	□ შესაბამისი კატეგორიის მძღოლის მართვის მოწმობის ასლი; □ სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი (ქვითარი).	2 სამუშაო დღის ვადაში

საქართველოში გამოიყენება ექსპორტ-იმპორტის შემდეგი ლიცენზიები და ნებართვები:

ექსპორტი	იმპორტი	ლიცენზიის/ნებართვის გამცემი ორგანო
დაკვირვების ელექტრონული საშუალებები	დაკვირვების ელექტრონული საშუალებები	შინაგან საქმეთა სამინისტრო
	ფიტოსანიტარულ და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქ-	სურსათის ეროვნული სააგენტო
შეზღუდულად ბრუნვადი მასალები, მაგ: საერთაშორისო კონვენციებით შეზღუდული	შეზღუდულად ბრუნვადი მასალები	ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
იარაღი და საბრძოლო მასალები	იარაღი და საბრძოლო მასალები	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
ორმაგი დანიშნულების პროდუქცია, მაგ: მასობრივი განადგურების იარაღის ან მის შესაქმნელად საჭირო აუცილებელი კომპონენტები	ორმაგი დანიშნულების პროდუქცია	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებები	სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებები	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო
გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორის და ფაუნის სახეობები	გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორის და ფაუნის სახეობები	ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

	არაიოდიზებული მარილი	სოფლის მეურნეობის სამინისტრო; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სა
საქართველოს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანის ნებართვა		საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

ექსპორტის სერტიფიკატები

საქონლის ექსპორტისას, საჭიროების შემთხვევაში, საექსპორტო პროდუქციაზე გაიცემა წარმოშობის სერტიფიკატი.
ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ექსპორტირებისას წარმოშობის სერტიფიკატს გასცემს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი „სამტრესტი“.

წარმოშობის სერტიფიკატებს აგრეთვე გასცემენ:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ „შემოსავლების სამსახური”;
- სსიპ „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა”;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გაცემული საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი ოთხი სახისაა: საქონლის შეღავათიანი (პრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატი – ფორმა ”A”; საქონლის შეღავათების გარეშე (არაპრეფერენციული) წარმოშობის სერტიფიკატი; პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი CT-1; პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1

სერტიფიკატის ფორმა	გამცემი ორგანო	წარმოშობის სერტიფიკატის გაცემისთვის აუცილებელი დოკუმენტები
პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი (ფორმა “A”)	საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან განსაზღვრული საქონლის განსაზღვრულ ქვეყნებში ექსპორტისას სერტიფიკატს გასცემს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის საგარეო ვაჭრობის არასატარიფო რეგულირების სამმართველო; საქართველოს სავაჭრო- სამრეწველო პალატა. (ქვეყნები – აშშ, კანადა, ევრო-	□ განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს საქონლის დასახელებას სასაქონლო კოდის თერთმეტნიშნა დონეზე, საქონლის ოდენობას, ექსპორტიორისა და იმპორტიორის დასახელებას, მისამართსა და ქვეყანას; □ დეკლარაცია საქონლის კუთვნილებისა და კრიტერიუმების შესახებ; □ გარიგების მონაწილე მხარეებს შორის გაფორმე-
არაპრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი	სერტიფიკატს, საქართველოდან ყველა სხვა დანარჩენ ქვეყანაში გატანის დროს გასცემენ: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის საგარეო ვაჭრობის არასატარიფო რეგულირების სამმართველო; სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოები; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო; საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა.	□ განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს საქონლის დასახელებას სასაქონლო კოდის ოთხნიშნა დონეზე მითითებით, საქონლის ოდენობას, ექსპორტიორისა და იმპორტიორის დასახელებას, მისამართსა და ქვეყანას; □ დეკლარაცია საქონლის კუთვნილებისა და კრიტერიუმების შესახებ; □ გარიგების მონაწილე მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

პრეფერენ-ციული წარმოშო-ბის CT-1 სერტიფი-კატი	სერტიფიკატს გასცემენ: საქართვე-ლოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგა-რეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის საგარეო ვაჭრო-ბის არასატარიფო რეგულირების სამმართველო; სამინისტროს სა-ხელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმარ-თველოები; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო და სა-ქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა.	□ განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს საქონლის დასახელებას სასაქონლო კოდის ოთხნიშნა დონეზე მი-თითებით, საქონლის ოდენო-ბას, ექსპორტიორისა და იმპორტიორის დასახელე-ბას, მისამართსა და ქვეყანას; □ დეკლარაცია საქონლის კუთვნილებისა და კრიტერი-უმების შესახებ; □ გარიგების მონაწილე მხა-რეებს შორის გაფორმებული
პრეფერენ-ციული წარმოშო-ბის სერტი-ფიკატი EUR.1	(დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტისას) სერტიფიკატს გასცემენ: საქართვე-ლოს ეკონომიკისა და მდგრადი გან-ვითარების სამინისტროს საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკო-ნომიკური ურთიერთობების დე-პარტამენტის საგარეო ვაჭრობის არასატარიფო რეგულირების სამ-მართველო; სამინისტროს სახელ-მწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმარ-თველოები; საქართველოს სავაჭ-რო-სამრეწველო პალატა და აჭა-რის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთადა ეკონომიკის სამინის-ტრო, საქართველოსა და თურქე-თის რესპუბლიკას შორის თავისუ-ფალი ვაჭრობის შესახებ 2007 წლის 21 ნოემბრის შეთანხმების შესაბამისად.	□ განცხადება, რომლის ფორმას მიიღებთ სამინისტროში; □ დეკლარაცია საქონლის კუთვნილებისა და კრიტერი-უმების შესახებ; □ გარიგების მონაწილე მხა-რეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება; □ ანგარიშ-ფაქტურა (ინვოი-სი).

სერტიფიკატი გაიცემა ექსპორტიორის განცხადების რეგისტრაციიდან მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

ბიზნესის წარმოებისათვის აუცილებელია ვიცოდეთ მეტროლოგიისა და სტანდარტების სისტემა. სტანდარტები, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება (პროდუქციის შესაბამისობა სტანდარტთან), რომელსაც მოიცავს ეროვნული ხარისხის ინფრასტრუქტურის სფერო, მნიშვნელოვანია წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების საერთაშორისო აღიარებისთვის და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანია ექსპორტისთვის.

მეწარმეებს აქვთ თავიანთი პროდუქციისა და მომსახურების დაპატენტების უფლება. პატენტი არის გამომგონებლის ან მისი უფლებამონაცვლისათვის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული დროით მინიჭებული მონოპოლიური უფლება, რომლის საფუძველზეც პატენტის მფლობელს შეუძლია ნებისმიერ პირს აუკრძალოს პატენტით დაცული გამოგონებით ან სასარგებლო მოდელით სარგებლობა.

ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის მონოპოლიური უფლებების მინიჭება დასტურდება საპატენტო სიგელით (პატენტით), რომელსაც გასცემ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“. პატენტი შეიძლება გახდეს გაყიდვის ან ლიცენზირების ობიექტი.

პატენტი გაიცემა: მოწყობილობებზე (მანქანა-მექანიზმები, დანადგარები, ხელსაწყოები, ელ.სქემები და ა.შ.); ნივთიერებებზე (ხსნარები, შენადნობები, ქიმიური ნაერთები, ნარევები და ა.შ.); ბიოლოგიური მასალებზე (მიკროორგანიზმების შტამი, მცენარეთა და ცხოველთა ასოციაციები, უჯრედების კულტურები და ა.შ.); ხერხზე (ტექნოლოგიური პროცესები, ილეთები, ოპერაციები და ა.შ.).

პატენტი იცავს ისეთ გამოგონებას, რომელიც აკმაყოფილებს სამ ძირითად კრიტერიუმს:

1. სიახლე გამოგონება ახალია, თუ იგი ცნობილი არ არის მსოფლიოში ტექნიკის არსებული დონიდან გამომდინარე და რომელიც ცნობილია წერილობით, ზეპირი აღწერით ან სხვა გზით გამოგონებაზე განაცხადის შეტანის თარიღამდე.
2. საგამომგონებლო დონე გამოგონებას აქვს საგამომგონებლო დონე, თუ იგი სპეციალისტისათვის ცხადად არ გამომდინარეობს ტექნიკის არსებული დონიდან.
3.სამრეწველო გამოყენებადობა გამოგონების სამრეწველო გამოყენებადობა ნიშნავს მისი დამზადების ან მისით სარგებლობის შესაძლებლობას

მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა სფეროებში.

პატენტის საფუძველზე წარმოიშობა საპატენტო უფლებები, რომლებიც ორი სახისაა

1. პირადი არაქონებრივი;
2. ქონებრივი.

პირადი არაქონებრივი საპატენტო უფლება ეკუთვნის მხოლოდ გამომგონებელს. გამომგონებელს გააჩნია გამომგონებლად დასახელებისა და აღიარების მოთხოვნის უფლება, აგრეთვე, გამოგონების ან სასარგებლო მოდელისათვის სპეციალური სახელწოდების შერჩევის უფლება. ეს უფლებები განუსხვისებელია.

ქონებრივი საპატენტო უფლებები საპატენტო სამართალში განსაკუთრებული უფლებების სახელწოდებითაა ცნობილი. ამ უფლებებს შეიძლება ფლობდეს გამომგონებელიც და ნებისმიერი სხვა პირიც, თუ გააჩნია შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი.

საქპატენტში წარდგენილ განაცხადზე პატენტის გაცემის პროცედურა მოიცავს:

- ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას, რომელიც ითვალისწინებს განაცხადის შეტანის თარიღის დადგენას, საგანაცხადო მასალების სისრულისა და გაფორმების სისწორის შემოწმებას
- და პრიორიტეტის დადასტურებას;
- არასრულ არსობრივ ექსპერტიზას, რომელიც ითვალისწინებს:
- გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ფორმულის ანალიზისა და აღწერილობის სისრულის შემოწმების საფუძველზე;
- საინფორმაციო ანგარიშის მომზადებას კვლევის ტექნიკის დონის დასადგენად;
- ექსპერტიზას სიახლეზე და დოკუმენტური დასკვნის შედგენას;
- გადაწყვეტილების მიღებას პატენტის გაცემის თაობაზე და სხვა.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისი N182 დადგენილება განსაზღვრავს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურებს, როგორიცაა:

- გამოგონება;
- სასარგებლო მოდელი;
- დიზაინის რეგისტრაცია;
- სასაქონლო ნიშნების რეგისტრაცია;
- საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია;

- ნაწარმოებისა და მონაცემთა ბაზის დეპონირება.

”საქპატენტის” მიერ საფასურებში გათვალისწინებულია შეღავათები, კერძოდ: გამომგონებლებსა და დიზაინერებზე 70%, ხოლო სტუდენტ, სკოლის მოსწავლე და პენსიონერ განმცხადებელებზე 90%- იანი შეღავათი.

სურსათის უვნებლობა

სახელმწიფო რეგულირებას დაქვემდებარებული სურსათის წარმოებასთან, ვეტერინარიასთან და ფიტოსანიტარიასთან დაკავშირებული ქმედებები საჭიროებს ნებართვას/სერტიფიცირებას, რომლის მიზანია მომხმარებლის დაცვა და გაუთვალისწინებელი, ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი რისკის თავიდან აცილება.

საქართველოში სანებართვო საქმიანობასთან დაკავშირებით სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო გასცემს 2 სახის ნებართვას:

- ზოგიერთ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტზე ნებართვა;
- ზოგიერთ ფიტოსანიტარულ კონტროლს დაქვემდებარებულ მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტზე ნებართვა.

ნებართვის სახეები	კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია	ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია	ნებართვის მოქმედების
1. ზოგიერთ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტზე ნებართვა (ნებართვას დაქვემდებარებული პროდუქტების ნუსხა რეგულირდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით).	ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციაა: ყველა სახის ცხოველი, ცხოველური წარმოშობის პროდუქტები და ნედლეული, ცხოველთა საკვები (საკვებდანამატები), ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ბიოლოგიური, სამკურნალო და სხვა ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატები (დაწვრილებითი ინფორმაციისთვის	▯ განცხადება; ▯ სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი; ▯ ვეტერინარული სერტიფიკატი; ▯ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.	1 თვე

2. ზოგიერთ ფიტოსანიტარულ კონტროლს დაქვემდებარებულ მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტზე ნებართვა.	ფიტოსანიტარულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციაა: ფიტოსანიტარულ კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქცია, მასალა და ობიექტი, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია საკარანტინო ორგანიზმების გავრცელება.	□ განცხადება; □ სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი; □ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.	6 თვე (არა უმეტეს)